

45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი # 1

ქ. ნინოწმინდა

02.09.2020 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ალექსანდრე მიქელაძე – მერის პირველი მოადგილე;

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

საიათ მკვიან — ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის წევრები:

სამველ არზუმანიანი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ანდრანიკ ქსოვიანი – სატენდერო კომისიის წევრი – იურიდიული სამსახურის უფროსი;

სოს ბდოიანი – ზედამხედველობისა და რეაგირების სამსახურის განყოფილების უფროსი ;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ეკატერინე ოქროშელიძე – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;

ტიგრან ალვანჯიანი – სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი;

არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რუბენ ღაზარიანი - ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ ჩალათაშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ სოფ. ეშტიის პირველ და მეორე საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით მომზადებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების განხილვა–დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მიქელაძემ კომისიას გააცნო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ეშტიის პირველ და მეორე საჯარო სკოლაში სველი წერტილის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV-45200000), სამუშაოები დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით და პროექტის სავარაუდო ღირებულება ჯამში შეადგენს **140`673** (ას ორმოცი ათას ექვსას სამოცდაცამეტი) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.


აზრი გამოთქვეს: სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ აღწერილობაზე, სატენდერო დოკუმენტაციის პროექტში გათვალისწინებულ პირობებზე და მისაღებად ჩათვალეს სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტი. სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ელექტრონული ტენდერის NAT წესით გამოცხადებაზე.

დაადგინეს:


1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.


კომისიის თავმჯდომარე:  /ა. მიქელაძე/

თავმჯდომარის მოადგილე:  /ს. მკვიან /

კომისიის წევრები:  /ვ. ჩალათაშვილი/


 /რ. დაზარიანი/

 /ა. ქსპოიან/

 /ს. ბდოიან/

 /ს. არზუმანიანი/

აპარატის წევრები:  /ე. ოქრომელიძე/

 /ტ. ალვანჯიან /